შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 85-ე წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№40 (10.045)

29 ოქტომბერი - 5 ნოემბერი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„ფიროსმანობა“ წელს გამორჩეულად აღინიშნება

წელს დიდი ნიკო ფიროსმანის დაბადებიდან 160 წლის იუბილე აღინიშნება. სახალხო დღესასწაული „ფიროსმანობა“ მის მშობლიურ სოფელში ტრადიციულად უამრავ სტუმარს უმასპინძლებს. სახლ-მუზეუმში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, წელს ნიკალას თაყვანისმცემლები გენიალური მხატვრის ნახატების დათვალიერებას ვერ შეძლებენ.

გაზეთმა „შირაქმა “დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს რამდენიმე კითხვით მიმართა.

-ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ფიროსმანობა“ დედოფლისწყაროში, მირზაანში, გენიალური მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნაფუძარზე გაიმართება. წლევანდელი „ფიროსმანობა“ იქნება გამორჩეული, რადგან დიდი მხატვრის დაბადებიდან 160 წლის იუბილე აღინიშნება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია მთავრობის ადმინისტრაციასთან ერთად, ძალიან კარგი ღონისძიების განხორციელებას გეგმავს. ჩვენს დედოფლისწყაროელებს ვეპატიჟებით, 12 ნოემბერს, შაბათ დღეს, „ფიროსმანობაზე“, რომელიც დაიწყება შუადღისას და გაგრძელდება დღის ბოლომდე. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია ტრადიციული ხელსაქმის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, მოეწყობა ეთნოგრაფიული კუთხე, ჩატარდება ქართული სამზარეულოს მასტერ-კლასი, გაცოცხლდებიან ფიროსმანის ნახატები, სახალხო დღესასწაული დასრულდება კონცერტით, ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით. ასე რომ, დაუვიწყარ სანახაობას ვპირდებით დედოფლისწყაროელებსა და ჩვენს სტუმრებს, რომლებიც, იმედი გვაქვს, მრავლად იქნებიან. იმისთვის, რომ ყველა მსურველმა მოახერხოს სახალხო დღესასწაულზე დასწრება, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ იზრუნა ამაზე და 12 ნოემბერს, დედოფლისწყაროს ცენტრში, კერძოდ, შადრევნის მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებული იქნება სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც მოსახლეობის უფასო ტრანსპორტირებას უზრუნველყოფენ.

-მოსახლეობის ერთი ნაწილი სკეპტიკურად უყურებდა „ფიროსმანობის“ ჩატარების საკითხს, რადგან იქ სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს...

-პრემიერის ინიციატივით, განახლებული რეგიონის ფარგლებში, მიმდინარეობს ფიროსმანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია. ახლა მუზეუმი, უნდა ითქვას, რომ დახურულია. იქიდან დროებით გატანილია ნახატები, მაგრამ ეს ფაქტორი ხელს არ შეუშლის სახალხო დღესასწაულის ჩატარებას, რადგან, „ფიროსმანობა“ ყოველთვის სახლ-მუზეუმის ეზოში ტარდებოდა. ახლაც ასე იქნება. სარემონტო სამუშაოები, ძირითადად, ორ ლოკაციაზე მიმდინარეობს-მუზეუმის შიდა სივრცეში და მეორე, სახლ-მუზეუმამდე მისასვლელ ტერიტორიაზე, რომლის რეაბილიტაციაც დასასრულს უახლოვდება.

- დასრულდა რთველი დედოფლისწყაროში. როგორ შეაფასებდით მას?

-რთველი დედოფლისწყაროში ორგანიზებულად ჩატარდა, ისევე, როგორც გასულ წლებში, არცერთი მტევანი ყურძენი მევენახეს და გლეხს ჩაუბარებელი არ დარჩენია. აქ აღსანიშნავია ის სიახლე, რომ პირველად, დედოფლისწყაროში, გაიხსნა ახალი ქარხანა, რომელმაც ძალიან დიდი შეღავათი მისცა ჩვენს მევენახეებს. თამამად ვიტყვი, რომ თეთრი ყურძნის 95% მთლიანად ჩაბარდა ჩვენს ქარხანაში, რაც დროის, ენერგიის და თანხების დიდი ეკონომიაა. სამთაწყარო-ფიროსმანიდან, საბათლოდან, ქედების ზონიდან ყურძნის ტრანსპორტირება გაცილებით იაფი ჯდება აქ, ვიდრე გურჯაანამდე, თელავამდე ან თბილისის ქარხნებამდე. თუ სხვა ღვინის ქარხნებში, მინიმუმ, 24-საათიანი ან ორდღიანი რიგები იყო, აქ მევენახეებს რიგში დგომა, ფაქტობრივად, არ უხდებოდათ - საათნახევრიანი ან მაქსიმუმ, რამდენიმესაათიანი ინტერვალის ფარგლებში აბარებდნენ ყურძენს. საბოლოოდ, წლევანდელი რთველის მონაცემები ციფრებში ასე გამოისახება: რქაწითელი - 3078,06 ტონა, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 2 788 172 ლარი, საფერავი - 4484,16 ტონა, ღირებულებით - 6682,881 ლარი, კახური მწვანე - 4,70 ტონა, ღირებულებით-4 230 ლარი.

-მოსახლეობა წუხს, რომ ქალაქ დედოფლისწყაროში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები ძალიან გაიწელა. რა არის ამისი მიზეზი?

- ქალაქ დედოფლისწყაროში სარეაბილიტაციო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. მესმის მოსახლეობის გულისტკივილი, რომ ეს პროცესი ცოტა დროში გაიწელა, მაგრამ დამერწმუნეთ, მისი დასრულების შემდეგ მივიღებთ ლამაზ, სუფთა და თანამედროვე ტიპის ქალაქს. მე 39 წლის ვარ და არ მახსოვს, დედოფლისწყაროში როდისმე ასეთი მასშტაბური სამუშაოებიჩატარებულიყოს.

მშენებლობა ერთდროულად რამდენიმე ლოკაციაზე მიმდინარეობს. შესაძლოა, ამანაც გამოიწვია ის განცდა, რომ დროში გაწელილი გვეჩვენება დედოფლისწყაროს რეაბილიტაცია, მაგრამ, მინდა დავამშვიდო ჩვენი მოსახლეობა და ვუთხრა, რომ მაქსიმუმ, ნოემბრის ბოლოსთვის, პირველი ეტაპის სამუშაოები დასრულდება, რაც გულისხმობს ყველა იმ საცხოვრებელი კორპუსის გამაგრება-ფასადის მოპირკეთების სამუშაოების დამთავრებას. პარალელურ რეჟიმში დაიწყო და მიმდინარეობს ჰერეთის ქუჩაზე ტროტუარების, დაზიანებული ღობეების კეთილმოწყობა, რომელიც მთლიანად შეცვლის ჩვენი ქალაქის იერსახეს.

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი



გაიღე სისხლი – გადაარჩინე სიცოცხლე !

საქართველოში არსებულ სისხლის მარაგს მასზე მოთხოვნა ბევრად აღემატება. სისხლის ბანკები ხშირად საჭირო ოდენობით სისხლის მარაგის შექმნის პრობლემას აწყდებიან. დონაცია არის პროცესი, როდესაც ჯანმრთელი ადამიანი სხვის დასახმარებლად უანგაროდ გასცემს სისხლს.

25 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ წარმომადგენლები ეწვივნენ. აღნიშნული დაწესებულება ემსახურება ჯანმრთელი პოპულაციიდან სისხლის დონორების შერჩევას, დონაციის ჩატარებას, სისხლის და სისხლის კომპონენტების დამზადებას, დონორული სისხლის აპრობაციას, დამზადებული სისხლის კომპონენტების ხარისხის კონტროლს, შენახვასა და სამკურნალო დაწესებულებების უზრუნველყოფას უსაფრთხო სისხლის კომპონენტებით, 24 საათიან რეჟიმში. ასევე, აწარმოებს ჰემატოლოგიური ავადმყოფების კონსულტირებასა და საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა სახის ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარებას.

საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილმა, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ნუგზარ ყოჩიაშვილმა, ასევე მერიის, მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებმა და საკრებულოს თანამშრომლებმა მიიღეს.



მათ საშუალება მიეცათ, უანგაროდ ჩაებარებინათ სისხლი და ამით გამოეხატათ თანადგომა იმ ადამიანების მიმართ, ვისაც დახმარება სჭირდება. სისხლის გაღების აქციაში, რომლის მიზანიც უანგარო დონაციის პოპულარიზაციაა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი პერმანენტულად მონაწილეობს და მომავალშიც გეგმავს მსგავს ღონისძიებებში ჩართვას. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსის დოდო ხუნაშვილის მიერ გაზეთ „შირაქისთვის“ მოწოდებული ინფორმაციით, სისხლის გაცემის აქციაში 26 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. „გაუზიარე სიცოცხლე-გაიღე სისხლი“- სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განახორციელა.

შეგახსენებთ, რომ, დღესდღეობით უამრავ ადამიანს ესაჭიროება სისხლისგადასხმა, მათ შორის, სამწუხაროდ, მცირეწლოვან ბავშვებს. დონორთა მიერ გაღებული სისხლით ბევრ პაციენტს მიეცემა შვება და გაუხანგრძლივდება სიცოცხლე. წვეთი სისხლიდან იწყება სიცოცხლე. შენს მიერ გაცემულმა სისხლმა შეიძლება სამი ადამიანის სიცოცხლე იხსნას. თითოეული დონაცია სიცოცხლის საჩუქარია. გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

სამუშაო შეხვედრა სამხარეო ადმინისტრაციაში

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის, გიორგი ალადაშვილის ხელმძღვანელობით რეგიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების ხელმძღვანელ პირებთან კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა შეაჯამა პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დაწყებული, ახალი ფესტივალი „ღვინის დღეები“.

გიორგი ალადაშვილმა მუნიციპალიტეტების მერებს და მათთან ერთად, საორგანიზაციო ჯგუფის წევრებს აქტიური ჩართულობისა და რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტში ფესტივალის წარმატებულად ჩატარებისათვის მადლობა გადაუხადა.

სამუშაო თათბირზე მუნიციპალიტეტების ჭრილში განიხილეს ინფრასტრუქტურული პროექტები, პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დაწყებული პროგრამა „განახლებული რეგიონების“ გეგმა-გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობა, დასუფთავების საკითხები, ასევე, იმსჯელეს მუნიციპალიტეტებში არსებულ გამოწვევებზე და მათი ერთობლივად გადაჭრის გზებზე.

მუნიციპალიტეტების მერებთან გამართულ სამუშაო შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები ესწრებოდნენ.

„ყველა პლატფორმაზე მხარს ვუჭერთ უკრაინას“

„ძალიან რთულ დროს გვიწევს ცხოვრება - ჩვენი ამოცანა არ უნდა იყოს ომის გახანგრძლივება, არამედ ყველას ამოცანა უნდა იყოს, რომ ამ მომაკვდინებელი ომის რაც შეიძლება მალე შეჩერება მოხდეს“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უნგრეთში პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, საქართველო უკრაინას ყველა პლატფორმაზე უჭერს მხარს.

„მთავრობებს და მმართველებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ საკუთარი ხალხის წინაშე. მინდა დავადასტურო ჩემი დიდი პატივისცემა ბატონი პრემიერის ვიქტორ ორბანის და მისი პოლიტიკის მიმართ. ჩვენც ვაკეთებთ მაქსიმუმს, რათა ჩვენი ქვეყნების და ხალხის ინტერესები დავიცვათ ამ რთულ დროს. ომი უკრაინაში აბსოლუტურად მიუღებელია. ყველა პლატფორმაზე მხარს ვუჭერთ უკრაინას. ჩვენი სურვილია, რომ რაც შეიძლება მალე დასრულდეს ეს ომი. ჩვენი ამოცანა არ უნდა იყოს ამ ომის გახანგრძლივება, არამედ ყველას ამოცანა უნდა იყოს, რომ ამ მომაკვდინებელი ომის რაც შეიძლება მალე შეჩერება მოხდეს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი აისახება ფასებზე, წარმოიშვა კრიზისი ენერგეტიკის სფეროში და ამას სჭირდება ადეკვატური გამკლავება. საქართველო მტკიცედ მიჰყვება თავის გზას, ევროპულ არჩევანს. ჩვენი ეკონომიკა ვითარდება. გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა და ჩვენ მაქსიმალური უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენი ქვეყანა რაც შეიძლება მალე, კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდეს ევროპას და ევროპულ სტრუქტურებს“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„მოხარული ვარ, რომ მან ჩვენი მოწვევა მიიღო“

„მინდა გამოვეხმაურო პრემიერ-მინისტრ ორბანის ინიციატივას, რომ ერთობლივი სამთავრობოთაშორისი შეხვედრა უკვე თბილისში გავმართოთ. მოხარული ვარ, რომ ბატონმა პრემიერმა მიიღო ჩვენი მოწვევა“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, ის მოხარული იქნება, რომ საქართველოში ვიქტორ ორბანს უმასპინძლოს. მისივე შეფასებთ, ქვეყნის მთავრობები მზად არიან, რომ კიდევ უფრო გააღრმავონ სექტორული თანამშრომლობა სამინისტროებს შორის.

„უნგრეთი განსაკუთრებით ბატონი ორბანის ლიდერობის და მმართველობის დროს არის ძალიან წარმატებული ქვეყანა. ბატონი ორბანის მთავრობამ ძალიან ბევრი წარმატებული რეფორმა განახორციელა საკუთარი ხალხის საკეთილდღეოდ. ჩვენ ბევრი მაგალითიც გადმოვიღეთ თქვენგან და თქვენი მთავრობის წარმატების რეფორმები გავიზიარეთ და გვსურს, რომ უფრო მეტად დავახლოვდეთ. მინდა გამოვხატო ჩემი მადლიერება მოწვევისთვის და თქვენი გულწრფელი მასპინძლობისთვის. ეს არის ჩემი მეორე ვიზიტი თქვენს ლამაზ ქვეყანაში. ბატონ პრემიერთან ჩვენ გვქონდა ხანგრძლივი საუბარი. გუშინ საღამოს პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის ინიციატივით ჩვენ გავმართეთ სამუშაო ვახშამი, სადაც განვიხილეთ თითქმის ყველა საკითხი, რომელიც ჩვენს ქვეყნებს აერთიანებს და ჩვენ გვაინტერესებს და გვაწუხებს“, - განაცხადა ღარიბაშვილმა. როგორც საქართველოს პრემიერმა აღნიშნა, ორბანთან გამართულ დღევანდელ შეხვედრაზე ასევე მიმდინარეობდა „შინაარსიანი განხილვა თითოეული სექტორის მიმართულებით“.

„შევეხეთ ეკონომიკის საკითხებს, სავაჭრო ურთიერთობებს, ჩვენს სამომავლო თანამშრომლობას ენერგეტიკულ საკითხებში, რომელზეც ბატონმა ორბანმა თავად აღნიშნა. საქართველო არის და იქნება ამ პროექტების მხარდამჭერი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილე. დღეს ასევე ხელი მოვაწერეთ სტრატეგიული პარტნიორობის დეკლარაციას. მჯერა, რომ ჩვენ შორის ისედაც არსებული მჭიდრო თანამშრომლობა და კარგი მეგობრობა კიდევ გაგრძელდება, დამატებით იმპულსს შესძენს ქართულ-უნგრულ ურთიერთობებს“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ხელოვნება აფერადებს სიცოცხლეს"

„ხელოვნება უდავოდ არის ადამიანის ბედნიერების ერთ-ერთი ყველაზე სუფთა და უმაღლესი ელემენტი. ის ავარჯიშებს გონებას თვალით და თვალს გონებით. როგორც მზე აფერადებს ყვავილებს, ასევე ხელოვნება აფერადებს სიცოცხლეს" - თქვა ჯონ ლუბოკმა, ინგლისელმა მეცნიერმა, ფილანტროპმა და პოლიტიკოსმა და ამით ალბათ, ყოველი ჩვენგანის სათქმელი თქვა. ხელოვნება გვიფერადებს სიცოცხლეს, ხოლო ამ ხელოვნების შემოქმედნი კი, მას უფრო და უფრო მეტ სილაღესა და მკვეთრ ფერებს ანიჭებენ.

სწორედ ასე გააფერადა დედოფლისწყაროს საზოგადოების ცხოვრების ერთი დღე, 25 ოქტომბერი, ნიკიტა არზამასოვმა, რომელიც ჯერ მხოლოდ ათი წლისაა და საკუთარი შემოქმედებით უკვე მოიგო ჩვენი, როგორც დამთვალიერებლის გული. ხალხთა მეგობრობის მუზეუმში სწორედ მისი ნახატების პერსონალური გამოფენა მოეწყო, სადაც ნატურმორტებთან, პორტრეტებთან და ურბანულ სტილთან ერთად, ნიკო ფიროსმანის პერსონაჟებიც ალამაზებდა გარემოს. (კლასის ხელმძღვანელი - **მარიკა პოპიაშვილი**, ღონისძიების ორგანიზატორი - **რუსუდან კიკილაშვილი**).

ნიკიტა 5 წლიდან ხატავს, თვითნასწავლია. ხატვა არსად უსწავლია და პატარ-პატარა ნაბიჯებით მოვიდა აქამდე. კითხვაზე, თუ როგორი შეგრძნებაა როდესაც პერსონალური გამოფენა გაქვს, გაზეთ „შირაქს" ემოციებისგან სულ ოდნავ დაბნეული ნიკიტა ღიმილით და მორცხვად პასუხობს: „ჩემი პირველი გამოფენის გამო ძალიან გახარებული ვარ. ბედნიერი ვარ, რომ ასე შემიძლია ხატვა, ჩემი უნარების გადმოცემა და ჩემს მიერ წარმოსახვაში არსებული სამყაროს ტილოზე გადმოტანა. აქ წარმოდგენილი ნამუშევრები დაახლოებით ერთ თვეშია შექმნილი. ფიროსმანის პერსონაჟთა სიუხვე იმითაა გამოწვეული, რომ ჩემთვის ის ძალიან დიდი მხატვარია, მას განსაკუთრებულად ვაფასებ და ხშირად მისი ნამუშევრებია ჩემი მუზა. ამჯერად აქ დაახლოებით 22 ნახატია წარმოდგენილი".

ნიკიტას ეს ნიჭი და მიდრეკილება პირველად, დედამ ნინა არზამასოვამ შეამჩნია. მისი თქმით, ამ უნარების გამომჟღავნებას გარკვეულწილად გენეტიკამაც შეუწყო ხელი, რადგან „მამაჩემი ხატავდა, თავისთვის, უბრალოდ. ნიკიტა სულ პატარა იყო, როდესაც ხატვისადმი ინტერესი გაფერადებით გამოხატა. ლამაზად აფერადებდა. შემდეგ უკვე დაიწყო სილუეტების, კონტურებისა და ნახატების შექმნა. ხმამაღალი ნათქვამი თუ არ გამომივა, მინდა აღვნიშნო, რომ ნიკიტამაც ფიროსმანივით თავისით ისწავლა ხატვა. სპეციალურად არსად გვიტარებია და მოგვიმზადებია. ვფიქრობ, ეს დღე მას ძალიან დიდხანს ემახსოვრება. მადლობა ყველას, ვინც ამ ღონისძიების ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა. თქვენ ჩემს შვილს დაუვიწყარი ემოციები აჩუქეთ".



რუსუდან კიკილაშვილი, ორგანიზატორი, ხატვის მასწავლებელი: „ნიკიტას კლასში არ შევდიოდი. წელს, როდესაც გავხდი მისი პედაგოგი და აღმოვაჩინე მისი შესაძლებლობები, მივხვდი, რომ მისი ნიჭი მხოლოდ სკოლის სივრცეში არ უნდა დარჩენილიყო. ძალიან ბევრმა ასახელა ჩვენი - ხორნაბუჯის სკოლა და მათ რიგებს უკვე ნიკიტაც შეემატა. ამ ღონისძიებით მას გზა გავუხსენით ფართო საზოგადოებისკენ. იმედი გვაქვს, ოჯახის, სკოლის, ყველა კეთილისმსურველის გვერდში დგომით, ნიკიტა კიდევ უფრო მეტს მიაღწევს. ბოლო ერთი კვირა, რაც ჩვენ ვლაპარაკობდით გამოფენაზე, კლასელებს უფრო მეტად უხაროდათ, ვიდრე ნიკიტას. ყველა ამბობდა, რომ გვერდში დაუდგებოდა მას. თითოეულ ჩვენგანს დაამახსოვრდება დღევანდელი დღე, მაგრამ, განსაკუთრებით ნიკიტას. მინდა გითხრათ, რომ მეც ვღელავდი. გამახსენდა ჩემი პირველი გამოფენა, რომელიც დღემდე წარუშლელი მოგონებაა. ვულოცავ ნიკიტას და ჩვენ, ერთად დგომით, უფრო დიდ მწვერვალებს მივაღწევთ. საჭიროა, რომ მისი ნიჭი ფართო ასპარეზზეც გავიდეს. ეს პირველი პერსონალური გამოფენაა და შემდეგ უკვე ფიროსმანობაზეც გამოიფინება მისი ნამუშევრები. მე მჯერა, რომ ამ ბავშვში ძალიან დიდი ნიჭი იმალება და იმედია, უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს".

მარიკა პოპიაშვილი, კლასის დამრიგებელი: „როგორც კლასის დამრიგებელი, მე ნიკიტასთან მეოთხე კლასში შევედი. თავიდანვე მიიქცია ყურადღება კლასის ინტერიერმა. საკლასო ოთახი გალამაზებული იყო. სხვადასხვა ნახატებით. პლასტელინით შექმნილი ნამუშევრებიც დამხვდა. როდესაც ვიკითხე, თუ ვისი შემოქმედება იყო, ბავშვებმა მითხრეს, რომ ეს ყველაფერი ნიკიტას ეკუთვნოდა. მივხვდი, რომ კლასში ნიკიტას სახით ნიჭიერი მოსწავლე გვყავდა. შემდეგ ვთხოვე, ჩემი პორტრეტი დაეხატა. დამხატა მართლაც და ძალიან კარგად მიმამსგავსა. მივხვდი, რომ ძალიან დიდი ფანტაზია და წარმოსხვის უნარი იყო ამ ბავშვში. ყოველთვის აქტიურობდა კლასის გალამაზებაზე, საახალწლო ღონისძიებაზე. მისი ხელით გაკეთებული ხელნაკეთი ნივთები მოგვიტანა კლასში. მე და რუსუდან მასწავლებელმა ერთობლივად დავგეგმეთ, რომ პერსონალური გამოფენა გაგვეკეთებინა. ეს სტიმულია მისთვის, რომ უფრო მეტად განვითარდეს და ჩამოყალიბდეს პროფესიონალად. ამ პერსონალურ გამოფენამდე, სკოლაშიც გვქონდა მისი ნამუშევრები გამოფენილი. ვგეგმავთ, მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც მოვაწყოთ ნიკიტას ნახატების გამოფენა. შემდეგ კი თბილისშიც გვინდა წარვადგინოთ მისი ნამუშევრები".

გამოფენაზე მოსულ დამთვალიერებელს შესაძლებლობა ჰქონდა ბავშვების მიერ გაცოცხლებული ფიროსმანის პესონაჟები ეხილა, გადაეღო მათთან ფოტოები, ასევე დაეხატათ თავიანთი წარმოსახვით, შემოდგომის მოტივებზე დამშვენებული გარემოს ხილვით დამტკბარიყვნენ და მოესმინათ ნიკიტას მეგობრების მიერ შესრულებული სიმღერები, რაც გამოფენას უფრო საინტერესო ელფერს სძენდა.

გამოფენას ესწრებოდნენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები, ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები, საჯარო სკოლის პედაგოგები, ბავშვები. დასასრულს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის დირექტორმა- მამუკა ყავრელიშვილმა და ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ხელმძღვანელმა- ქეთევან მჭედლიშვილმა ნიკიტას სამსახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

ნათქვამია, „ხელოვნების ყოველი ფორმა გამოხატვის უმაღლესი ფორმაა; მას აქვს გავლენა, მას შეუძლია შეცვალოს"-ო. მჯერა, რომ ნიკიტას ნამუშევრებსაც შეუძლიათ გარემოს, ცხოვრების, ადამიანების შეცვლა, რადგან იქიდან უშუალობა, სისუფთავე და გულწრფელობა ჩანს. სწორედ ამ გზის შენარჩუნებას, წინსვლასა და უამრავ წარმატებას ვუსურვებ ნიკიტას. „ხელოვნება ხომ თავად უკვდავებაა".

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

გამარჯვებულების დაჯილდოება მეორე საჯარო სკოლაში

კლიმატის ცვლილება ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხეა, რომლის წინაშეც კაცობრიობა დგას. ეს ყოვლისმომცველი პროცესია, რომელსაც ადამიანი და მისი საქმიანობა იწვევს. კლიმატის ცვლილება უარყოფითად აისახება ჩვენს სიცოცხლეზე. იგი დაკავშირებულია რიგ გამოწვევებთან: საშუალო ტემპერატურული ცვლილება, წყლის დონის მატება, ყინულის საფარის დნობა, სახეობებისა და ჰაბიტატების კარგვა, საკვების, წყლისა და ბუნებრივი რესურსების დეფიციტი, გაუდაბნოება, მიწის დეგრადაცია, ბუნებრივი კატასტროფები, ადამიანების ჯანმრთელობის გაუარესება.

23 ოქტომბერს, დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლაში, პროექტის „კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენის დონის შეფასება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების ყოველდღიურ ცხოვრებაზე და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ქალთა ჯგუფების გაძლიერების“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. შეხვედრაზე პროექტის მენეჯერმა, არასამთავრობო ორგანიზაცია/ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ მკვლევარმა და საინიციატივო ჯგუფის „ქალები გარემოსდაცვითი გამოწვევების წინააღმდეგ“ წარმომადგენელმა **მარიამ ხვედელიძემ** და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წარმომადგენელმა **მარიამ ბერიძემ** მასწავლებელთა და მოსწავლეთა კონკურსებში გამარჯვებული მონაწილეები სიმბოლური საჩუქრებითა და დიპლომებით დააჯილდოვეს. გარდა ამისა, სერტიფიკატები გადაეცათ იმ მონაწილეებსაც, რომლებმაც პროექტის მიმდინარეობისას ჩატარებულ ტრენინგებში მიიღეს მონაწილეობა. თანამშრომლობისთვის და მხარდაჭერისთვის მადლობის სიგელები მიიღეს ასევე არასამთავრობო, საინიციატივო ჯგუფებისა და მედიის წარმომადგენლებმაც: ანა ბენაშვილმა (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინატორი და ადგილობრივი განვითარების ჯგუფის პრეზიდენტის მოადგილე), მაია ლამაზოშვილმა (არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფის კოორდინატორი), ქეთევან მჭედლიშვილმა (ქალთა და ახალგაზრდობის სათემო ცენტრი „ხორნაბუჯი - თამარის ციხე“ კოორდნატორი), ლალი იაკობიშვილმა (მეორე საჯარო სკოლის დირექტორი) და ჟუჟუნა ყანჩაშვილმა (გაზეთ „შირაქის“ კორესპონდენტი).

მარიამ ხვედელიძემ, **პროექტის მენეჯერმა,** გაზეთ „შირაქთან“ პროექტის არსზე და მიმდინარეობაზე ისაუბრა: „თებერვლის თვიდან, საინიციატივო ჯგუფი „ქალები გარემოსდაცვითი გამოწვევების წინააღმდეგ“ ვახორციელებთ ამ პროექტს „ქალთა ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით, მცირე გრანტის ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა ისინი უფრო ნაკლებ მოწყვლადები ყოფილიყვნენ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მძიმე შედეგების მიმართ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი იმისთვის შევარჩიეთ ჩვენი პროექტის სამიზნე მხარედ, რომ კლიმატის ცვლილება საქართველოში ყველაზე მეტად აქ იჩენს თავს. იქნება ეს გაუდაბნოება, გვალვები, წყლის დეფიციტი და ა.შ. ძალიან ბევრი პრობლემაა ამ კუთხით

კახეთის რეგიონში და კონკრეტულად, დედოფლისწყაროში. ცნობილია, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით ბევრად უფრო მწვავედ განიცდიან და უფრო მგრძნობიარენი არიან კლიმატის ცვლილებების მიმართ. პროექტის პირველი ფაზა (ნაწილი) მიზნად ისახავდა კვლევის ჩატარებას. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოვკითხეთ დაახლოებით ორმოცამდე ქალი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში, რათა დაგვედგინა, ყველაზე პრობლემური საკითხები, საჭიროებები. ამაზე დაფუძნებით შევიმუშავეთ ტრენინგის მოდული, რომელიც სამ სხვადასხვა ჯგუფს ჩავუტარეთ: მასწავლებლებს, სკოლის მოსწავლეებს და ადგილობრივ სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ბოლო ფაზა იყო უკვე კონკურსები, რომელიც ჩავატარეთ მასწავლებლებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის. ვიდეო მიმართვების კონკურსი მოსწავლეებისთვის და საპროექტო იდეების კონკურსი გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით მასწავლებლებისთვის. დღეს სწორედ სერტიფიკატების გადაცემისა და გამარჯვებულების დაჯილდოვების ცერემონია

გვაქვს, დასკვნითი ღონისძიება, რითაც ვამთავრებთ ჩვენს პროექტს.“

მარიამ ბერიძე, **სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წარმომადგენელი:** „კლიმატის ცვლილებას გაცილებით მძიმე ზეგავლენა აქვს სოფლად მყოფი ადამიანების ცხოვრებაზე. კლიმატის ცვლილების შედეგების მიმართ, მამაკაცებთან შედარებით უფრო მოწყვლადნი ქალები და გოგონები არიან. ეს ფაქტია, რომელიც დიდწილად განპირობებულია ქალის ვალდებულებას მიკუთვნებული დაუფასებელი და აუნაზღაურებადი შრომით. სპეციფიკური სოციალური თუ კულტურული ბარიერები და არაანაზღაურებადი სამუშაო ხელს უშლის ქალებს გასცდნენ არსებობისთვის საკმარის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და აფერხებენ მათ ჩართვას აქტიურ, შემოსავლის მომტან სასოფლო-სამეურნეო ბიზნესში. არსებული ტრადიციული გენდერული შეხედულებების გამო, ქალები ნაკლებად არიან ჩართულები აქტივობებში თავიანთი შინამეურნეობების გარეთ. რატომ? კაცებთან შედარებით, ქალები წლის განმავლობაში საშუალოდ 80 დღით მეტს მუშაობენ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, მათი ჩართულობა კი, ძირითადად უფასო შრომაა. ქალები ჩართულები არიან: სახლის საქმეებში, საოჯახო შინამეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, წყლის მომარაგებაში. სოფლად მცხოვრები ქალების მიერ გაწეული დაუფასებელ შრომას კიდევ უფრო ამძაფრებს კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული ისეთი პრობლემები, როგორიცაა გვალვა, სუფთა წყლის დეფიციტი, მიწის დეგრადაცია, გაუდაბნოება, ტყის საფარის კარგვა და ა.შ. გვინდა მადლობა გითხრათ თითოეულ მონაწილეს თქვენი იდეებისთვის, ინტერესისთვის და იმ საქმისთვის, რასაც კლიმატის ცვლილებების შესაჩერებლად აკეთებთ. ხშირად ასეთი პატარა პროექტები დიდ შედეგს არ იძლევა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ პატარ-პატარა ნაბიჯებით გარკვეული შედეგების მიღწევა მაინც შესაძლებელია.“

მასწავლებელთა შორის გამართულ საპროექტო იდეების კონკურსში გამოვლინდა 5 გამარჯვებული, რომელთა იდეებმაც ყველაზე მეტი მოწონება დაიმსახურა:

*** მე-5 ადგილი: თამარ ნებიერიძე; პროექტი - ისეთი მცენარეული კულტურების გაშენება, რომელსაც წყალი არ სჭირდება, ადაპტირდება გარემოსთან და გაუძლებს გვალვებს;**

*** მე-4 ადგილი: მარინა პოპიაშვილი - მოსწავლეებში დისკუსიის და კვლევის სახით კლიმატის ცვლილებაზე ცნობიერების ამაღლება;**

*** მე-3 ადგილი: მაია ხუნაშვილი - ნერგების შეძენა, გამწვანება, ხე ყვავილების დარგვა სკოლის გარემოს გასამწვანებლად;**

*** მე-2 ადგილი - ნონა ტოკლიკიშვილი; გლობალურ დათბობაზე არსებული ინფორმაციის წიგნის და კომიქსის სახით ბავშვებისთვის მიწოდება;**

*** პირველი ადგილი: ეკა სეფიაშვილი - პროექტი-გაკვეთილი თამარის ციხეზე საარსებო გარემოს გაუმჯობესების შესახებ; მაკეტების გაკეთება მშობლებთან ერთად თუ როგორი წარმოუდგენიათ თამარის ციხის გარემო ბავშვებს.**

მოსწავლეებში გამოვლინდა 4 გამარჯვებული:

*** მე-4 ადგილი: თეონა ოზაშვილი - სოფ.ოზაანი;**

*** მე-3 ადგილი: ნატალი ნატროშვილი - სოფ.მაჩხაანი;**

*** მე-2 ადგილი - ლელა ღუდუშაური; ზემო ქედი**

*** 1-ლი ადგილი - ნელი ჭურჭელაური, ზემო ქედი;**

პროექტში დედოფლისწყაროს თითქმის ყველა სოფელი იყო ჩართული: სამრეკლო, ხორნაბუჯი, ზემო მაჩხაანი, ოზაანი, ქალაქი დედოფლისწყარო, ქედების ზონა, არხილოსკალო და ა.შ.

მარიამ ბერიძემ მადლობა გადაუხადა თითოეულ მონაწილეს, გამარჯვებულსა თუ გვერდში მდგომ ადამიანს პროექტში მონაწილეობისთვის. იმ ინტერესისთვის, რასაც იჩენენ კლიმატის ცვლილებების მიმართ, იმ შემართებისთვის, რასაც მუდმივად გამოხატავენ და იმ ენერგიისთვის, რომელსაც მათ თითოეულ ქმედებაში დებენ. თავის მხრივ მონაწილეებმა და დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა აღნიშნული პროექტის ავტორებს და მის წარმომადგენლებს იმ

შესაძლებლობებისთვის, რამაც მათ მცირედით, მაგრამ მაინც მისცათ განვითარების, ცნობიერების ამაღლების საშუალება.

ცნობილია, რომ დედოფლისწყარო საქართველოში კლიმატის ცვლილებებისადმი ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადია. სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, აქ კარგად შეიმჩნევა ტემპერატურული ცვლილებები და უარყოფითი ზეგავლენა. კლიმატის ცვლილებას დედოფლისწყაროში არაერთი უარყოფითი შედეგი მოჰყვება. გაუდაბნოება, მოსავლიანობის კარგვა, წყლის დეფიციტი და ა.შ. კლიმატის ცვლილებების შედეგების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის თანამედროვე საშუალებების შესახებ ინფორმირებულობა შეუმსუბუქებს ქალებს ყოველდღიურ შრომას და დაეხმარება კლიმატის ცვლილებების შედეგებთან გამკლავებაში. ქალების მაღალი წარმომადგენლობითობა მმართველ ორგანოებში ეროვნულ თუ მუნიციპალურ დონეზე უკიდურესად მნიშვნელოვანია. ეს ხელს შეუწყობს ქალების მონაწილეობას მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათ შორის, გარემოს დაცვასა და სოფლის მეურნეობაში.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

«ჩვენი მიზანია, შევქმნათ ჯანსაღი, მშვიდი და უსაფრთხო გარემო სკოლებში»

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრს ახალი უფროსი ჰყავს. განათლების მინისტრის ბრძანებით მიმდინარე წლის 19 ოქტომბრიდან ამ პოსტზე სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის დირექტორი, ქიმიკოსი მაკა ჯანაშვილი დაინიშნა. მანამდე იგი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში მუშაობდა.

მაკა ჯანაშვილმა ეთერ ზურიკაშვილი შეცვალა, რომელიც ამ თანამდებობას 2014 წლის აგვისტოდან იკავებდა. „შირაქი“ ახალი ხელმძღვანელის გეგმებით დაინტერესდა და საგანმანათლებლო რესურსცენტრს ესტუმრა.

მინი დოსიე: დაიბადა 1978 წლის 15 მარტს, გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში, სწავლობდა კოლაგის საშუალო სკოლაში. პროფესიით ქიმიკოსია, დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. 2006-16 წლებში ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლაში ბუნებისმეტყველებას ასწავლიდა. 2016 წლიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში დაიწყო მუშაობა, შემდეგ ქიმიის პედაგოგის ვაკანსია გამოცხადდა სამრეკლოს სკოლაში და იქ ასწავლიდა. 2021 წლის თებერვლიდან ამ დრომდე კი, სამრეკლოს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა.

მაკა ჯანაშვილი: „სურვილი და ჯანსაღი ამბიცია მქონდა, ეს პოზიცია დამეკავებინა. დიდი გეგმები მაქვს, მაგრამ კონკრეტულად ჯერ ვერ ვისაუბრებ. ყოველდღიური პროცესები გვიჩვენებს, რა მიმართულებით იქნება სამუშაო, მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანი იქნება სკოლებში ჯანსაღი, მშვიდი და უსაფრთხო გარემო შევქმნათ. ჯანსაღი თაობის აღზრდა და მათთვის სათანადო გარემოს უზრუნველყოფა ჩვენი პრიორიტეტია. სამინისტროს კონკურსი არ გამოუცხადებია, რადგან წინა ხელმძღვანელმა განცხადება დაწერა და თანამდებობა ვაკანტური იყო, მე განცხადებით მივმართე მინისტრს. მათ გადახედეს ჩემს მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას, განათლებასა და გამოცდილებას. საბოლოოდ კი შემარჩიეს. ამ პოზიციის დასაკავებლად კონკურსი, ან გასაუბრება არ გამივლია. პირდაპირ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დავინიშნე, თუმცა, მომავალში, თუ ამ პოზიციაზე კონკურსი გამოცხადდა, ან ტესტირების გავლის აუცილებლობა დადგა, მზად ვარ ყველა პროცესი გავიარო. არასოდეს ამივლია გვერდი გამოცდებისა და ტესტირებებისთვის და არც ახლა ვაპირებ. სიახლეები არ მაშინებს, პირიქით, სიხარულით ვხვდები მათ. რესურსცენტრში სხვა ვაკანტური ადგილი არ დამხვედრია, ყველა აგრძელებს მუშაობას. საკადრო ცვლილებებზე ვერ ვისაუბრებ, ვერ ვხედავ ამის საჭიროებას.

ამ ჯერად, შესწავლისა და გაცნობის პროცესში ვარ, მართალია სკოლის დირექტორებს უკვე ვიცნობ და წელიწადნახევრის განმავლობაში მათთან საქმიანი ურთიერთობა მქონდა, როგორც ერთ-ერთი სკოლის დირექტორს, მაგრამ ახლა, ამ პოზიციიდან, სხვა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა დამეკისრა. ამიტომ მათ მიმართ გარკვეული დავალებები, რა თქმა უნდა, მექნება. ნელ-ნელა საქმე გამოაჩენს ყველაფერს. მონიტორინგის დაწყებას და ყველა სოფელსა და სკოლაში პირადად მისვლას ვგეგმავ, მინდა ადგილზე გავეცნო გამოწვევებსა და საჭიროებებს. მათი შუამავალი ვიქნები სამინისტროსთან. 28 ოქტომბერს სკოლის დირექტორებთან პირველი სამუშაო თათბირი ჩავატარე, ვისაუბრეთ ამჟამად არსებულ საჭიროებებზე. შენიშვნები ცხადია, ჯერ არ მქონია, არ მინდა საქმიანობა პირდაპირ შენიშვნებით დავიწყო. მაგრამ, რეკომენდაციები ნამდვილად მექნება და შენიშვნების დროც მოვა. მუნიციპალიტეტებში საგანმანათლებლო რესურსცენტრის ფუნქცია მხოლოდ სასკოლო ინფრასტრუქტურის მონიტორინგს არ გულისხმობს, აუცილებელია პარალელურად შესწავლილი იყოს კლასებში დასწრების მაჩვენებელი, პედაგოგების, სასწავლო პროცესის მონიტორინგი.

ახალი გადავლილია პანდემია და ორწლიანმა ჩაკეტილობამ ყველაფერი შეცვალა, სასწავლო დაწესებულებებს სხვადასხვა გამოწვევები აქვთ. ჩემი სკოლებთან თანამშრომლობა პოსტპანდემიურ პერიოდს დაემთხვა. მონატრებულები ვართ რეალურ ურთიერთობებს, შეხვედრებს. ეს იგრძნობა ყველა ღონისძიებაზე, რაც ბოლო ხანს, შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ჩატარდა“.

ილია მარტყოფლიშვილი

ფიროსმანის მუზეუმის რეაბილიტაცია მირზაანში

სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის მასშტაბური რეაბილიტაცია მიმდინარეობს. გასულ წლებში ადმინისტრაციული შენობა, ნიკალას მემორიალური და ეზოში მდებარე ბიძაშვილების სახლი სხვადასხვა პროგრამებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ძალისხმევით, ეტაპობრივად გარემონტდა. თუმცა, ძირითადი საგამოფენო დარბაზი, სადაც ფიროსმანის ორიგინალებია დაცული, შესაბამის სტანდარტებს ისევ ვერ პასუხობს. გასულ წელს, სწორედ მუზეუმის ეზოში, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩამოსულმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ღიად თქვა, რომ განახლებული რეგიონების პროექტის ფარგლებში, სოფელ მირზაანში, ფიროსმანის მუზეუმის რეაბილიტაციას პირველ ეტაპზე მილიონი ლარი მოხმარდებოდა.

დაპირება საქმედ იქცა. ნიკალას ეზოში დიდი ფუსფუსია. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერის გზით შერჩეული კომპანია „მოდერნ ბილდინგ კომპანი“ აწარმოებს. თავდაპირველად, ტენდერში, რომელიც მირზაანის მუზეუმის ძირითადი საგამოფენო სივრცის რეაბილიტაციაზე გამოცხადდა, 609 390 ლარი იყო გათვალისწინებული. ტენდერში სულ ოთხი კომპანია მონაწილეობდა.

„გაერთიანებული სამშენებლო კომპანია“, „ნიუ ბილდინგ გრუპი“ და „ნიუ კონსტრაქშენი“ ტენდერში ყველაზე მაღალ ფასს ასახელებდნენ, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დააფიქსირა კომპანიამ „მოდერნ ბილდინგ კომპანი“, რომელმაც საწყის ეტაპზე 549 930 ლარი აჩვენა, შემდეგ კიდევ დააკლო და სამუშაოების ჩატარების ვალდებულება 535 000 ლარად აიღო. ხელშეკრულება ხსენებულ კომპანიასა და შემსყიდველს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის 2021 წლის 18 ოქტომბერს დაიდო და იმ პირობებით განისაზღვრა, რომ შეკვეთილ სარემონტო სამუშაოებს „მოდერნ ბილდინგ კომპანი“ 2023 წლის 1 იანვარს დაასრულებს. „შირაქი“ სატენდერო დოკუმენტაციას და პროექტის დეტალებს გაეცნო.



ამ ეტაპზე ხელახლა მოპირკეთდა ძირითადი საგამოფენო სივრცის ამორტიზებული კიბეები და მოედანი, გაკეთდა შშმ პირებისთვის ადაპტირებული კიდევ ერთი კიბე. მთავარ ტერასაზე მოსახვედრად შშმ პირთათვის გათვალისწინებულია ლიფტი, რომელიც კედელს ჩრდილოეთის მხრიდან დაუმონტაჟდება. არსებული სარდაფის სივრცეში გათვალისწინებულია ფონდსაცავის და სხვა დამხმარე ოთახების მოწყობა. ამისთვის, სარდაფის შიდა სივრცე, მათ შორის იატაკი, კედლები და ჭერი გარემონტდება. სარდაფში ყველა ოთახი იქნება იზოლირებული და ღიობებში დამონტაჟდებდა ცეცხლგამძლე კარები. ამავე სართულის ჩრდილოეთ ნაწილში მოეწყობა როგორც შშმ, ასევე სტანდარტული სანიტარული კვანძი. რეაბილიტაცია ტარდება კიბის უჯრედში, სარდაფიდან სახურავის ნიშნულამდე. მოხდება ჭერის, კედლების და იატაკის მოპირკეთება.

მუზეუმი აშენებულია XX საუკუნის 70-იან წლებში. შენობა სარდაფიანად სამ სართულს მოიცავს. პირველ სართულზე განლაგებულია ექსპოზიცია, (413,0 მ^2), მეორე სართულზე მუზეუმის ფონდი. (38,0 მ^2, ანტრესოლი 16,0 მ^2.) მუზეუმში, ფონდის ექსპოზიციისთვის, არ არსებობს შესაბამისი პირობები. მათ შორის, არ არის საკმარისი ფართი, შეუძლებელია კოლექციის რესტავრაცია. ადგილი საკმარისია მხოლოდ ექსპოზიციის თაროებზე დასალაგებლად. ასევე, ექსპონატები ინახება არასათანადო ტემპერატურაზე, რადგანაც ამ ნაწილში კედელი ნესტიანდება და ტენიანობა სტანდარტებს არ შეესაბამება. მუზეუმის სარდაფი ფართით 464,0 მ^2, მათ შორის 83,0 მ^2 ტერასის ქვეშ, შენობის გეგმიდან გამოსულია. სიმაღლე 2,0-2,1 მ^2. დღეს სარდაფის სართული გამოუყენებელია, რადგან ამ ნაწილში მრავლადაა წყლის გაჟონვის კერები. თუმცა, იატაკი მშრალია. წყლის შეღწევა ხდება პირველი სართულის გარშემო მოწყობილი ტერასიდან, რომლის გარშემოც საყრდენი კედელია. მათი მდგომარეობა მძიმეა. დაზიანებულია როგორც ტერასის, ასევე საყრდენი კედლის ზედაპირი და გვერდები. ტერიტორიაზე მოსანესრიგებელია ინფრასტრუქტურა.

არქიტექტორ-რესტავრატორების დასკვნის მიხედვით, სახურავზე არსებული ბუნებრივი განათების კონსტრუქციაში ხდება წყლის ჩადინება, რაც აზიანებს საექსპოზიციო სივრცის ჭერს. კონსტრუქცია წარმოადგენს 1,50 სმ სიმაღლის სახურავიდან ამოზნექილ ნაგებობას. კედლებში, ოთხივე მხრიდან, ჩასმულია ლითონის ჩარჩო და მინა. პროექტი ითვალისწინებს ამ სივრცის დაცვას წყლის ზემოქმედებისგან. არსებულ ლითონის ჩარჩოში მოეწყობა მინა-პაკეტი, შეიცვლება არსებული სამი კარი და დამონტაჟდება მეტალოპლასტმასის კარები. მინა-პაკეტი გარეთა მხრიდან შეიმოსება ლითონის ჟალუზებით. გადახურვის ნიშნულზე მოეწყობა კუთხოვანი, შეკრული კონსტრუქცია, რომელიც შეიფიცრება და გადაიხურება გოფრირებული თუნუქით.

ილია მარტყოფლიშვილი

შეხვედრა თიანეთის აქტივ-ჯგუფთან

დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) 2018 წელს დაფუძნდა ევროკავშირის მხარდაჭერით. პროექტი დასრულდა, მაგრამ ლაგ-ი განაგრძობს ფუნქციონირებას და ახალი პროექტების განხორციელებას.

ამ დღეებში თიანეთის მუნიციპალიტეტის კერძო თუ საჯარო სექტორის წარმომადგენლები სტუმრობდნენ დედოფლისწყაროს: მამუკა ტაბატაძე, ლია ჩიქოვანი, ეკა დოჯურიშვილი, დავით თარიმანიშვილი, თამარ ზატუაშვილი. თიანეთის აქტივ-ჯგუფი შეიქმნა თიანეთის განვითარების გეგმის შესამუშავებლად. მათ შეხვედრა გამართეს დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან და მათი გამოცდილება გაიზიარეს.

ბუბა ჯაფარლი: „ლიდერ-მიდგომა ევროპაში 90-იან წლებში დაიწყო. ეს სისტემა მუშაობდა მხოლოდ ევროპაში და, ბოლო რამდენიმე წელია, რაც ამ იდეამ ევროპის სივრცე გაარღვია. ლიდერი მუშაობს, პრაქტიკულად, მთელ ევროკავშირში.

რა არის ამ იდეაში მთავარი?

არსებობს მთავრობა, არსებობს საკრებულო, რომელსაც დემოკრატიული გზით ირჩევენ. აქ არის თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელი, მაგრამ საკრებულო არ ითვალისწინებს კიდევ სხვა ჯგუფებსაც. მაგალითად, არ არის ადგილი გამოყოფილი ეროვნული უმცირესობებისთვის, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, ბიზნეს-ჯგუფებისათვის... ვიღაც თვლის, რომ ლაგ-ი არის პარალელური სტრუქტურა. ბუნებრივია, გადაწყვეტილებების უფლება ლაგ-ს ისეთი არ აქვს, როგორც საკრებულოს, მაგრამ მას აქვს საშუალება, მოიპოვოს ფინანსური რესურსები სხვა მიმართულებებიდან, მაგ. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან.

არსებობს გარკვეული თამაშის წესები, ბუნებრივია, ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ლაგ-ის მუშაობაში არის საგრანტო რესურსების მოძიება და გრანტების გაცემა, აუცილებლად იწერება მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რათა იცოდნენ, რა სფეროებზე იმუშავებს და რა მიმართულებებს მიჰყვება ლაგ-ი.

ლაგ-ის შექმნის დროს გაირკვა, რომ დედოფლისწყაროს აქვს საოცარი ტურისტული პოტენციალი, რაც კომუნისტების დროს საერთოდ არ ჩანდა. აღმოჩნდა, რომ ტურიზმი არის ბიზნეს-დივერსიფიკაციის ერთ-ერთი სწორი მიმართულება, რომ რაიონს სჭირდება სოციალური და კულტურული სექტორების მხარდაჭერა.

პროექტის ფარგლებში 110 გრანტი გაიცა, რომლის მოცულობამ შეადგინა 1 400 000 ევრო. ამ პროექტის ძირითადი მიმართულებები იყო: სოფლის მეურნეობა, ბიზნესის დივერსიფიკაცია, ტურიზმი და სოციალური სფერო.

დღეს დედოფლისწყაროს ლაგ-ი ერთ-ერთი ძლიერი ორგანიზაციაა, მიუხედავად იმისა, რომ პროექტი დასრულდა, ისინი თავისი ძალებით ახერხებენ არსებობას. მაგრამ იმისათვის, რომ მოსახლეობას მისცე ბიძგი, შენ პატარა საგრანტო პორტფელი მაინც უნდა გქონდეს. მოსახლეობა უშუალოდ ხედავს გრანტებს. ამიტომ ფულადი რესურსი საჭიროა. საქართველოს მთავრობა განიხილავს საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც ლაგ-ების აღიარებასა და მათი მართვის მექანიზმების შემუშავებასაც ეხება.

მე ვამაყობ, რომ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში შეიქმნა დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია, რომელიც აქტიურად და წარმატებით ფუნქციონირებს. მათ რამდენიმე დღის წინ გააცილეს ესტონეთის დელეგაცია, რომელთაც აქ ჩაატარეს საერთაშორისო კონფერენცია სოფლის ტურიზმის თემაზე“.

მანანა ყატაშვილი, დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის ხელმძღვანელი: „ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „დედოფლისწყარო გუგლ მაპზე“, რომლის მიზანიც იყო ჩვენი მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა. შემოვიარეთ მთელი დედოფლისწყარო, ვესტუმრეთ კერძო და იურიდიულ პირებს, ბიზნესებსა და საჯარო ობიექტებს, რუკაზე მოინიშნა, დაახლოებით, 600 ბიზნესი და 300-მდე საჯარო ობიექტი. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგების სერია დაინტერესებული პირებისათვის, რათა მათთვის გაგვეცნო ონლაინ ბიზნესის უფასო სერვისების თაობაზე ინფორმაცია და შეგვეთავაზებინა საიტების შექმნა.

დედოფლისწყაროში მიგრაციის დონე მაღალია, მოსახლეობის ძირითადი ასაკი 50 წელს ზემოთაა. ის, ვინც ბიზნესს აწარმოებს, მისი ასაკიც 45-50 წელს შორის მერყეობს. ეს ადამიანები ცოტა მწყრალად არიან კომპიუტერულ უნარებთან და, ამ მხრივ, ცოტა პრობლემები შეგვექმნა.

ახლა გვაქვს ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციასთან ერთობლივი პარტნიორული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ტურისტული ობიექტებისთვის ხარისხის კრიტერიუმების შემუშავებას. ჩვენ ვთანხმდებით თამაშის წესებზე, იმაზე, რომ ჩამოსული სტუმრისთვის კომფორტული იყოს ამ ბიზნესებთან ურთიერთობა. ამისთვის ვიყენებთ ესტონელების გამოცდილებას. მათ უკვე აქვთ ტურიზმის ისეთი მიმართულებები განვითარებული, რაც დედოფლისწყაროსთვისაც შესაძლებელია და დიდი ფინანსები მას სულაც არ სჭირდება. ეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ერთის შეცდომის გამო, მთელი მუნიციპალიტეტის ღირსება არ შეილახოს.

რაც შეეხება საიტს, ის დღემდე აგრძელებს ფუნქციონირებას. მისი შენახვის ხარჯებს საწევრო შემოსავლებით ვისტუმრებთ, ასევე პროექტის ფარგლებში შევიძინეთ „ლეპტოპი“, რომელიც დღეს ჩვენი საკუთრებაა მოვაწყეთ ოფისი და ჩვენ ახლა გაცილებით „მდიდრები“ ვართ“- განაცხადა მანანა ყატაშვილმა.

თიანეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი, უახლოეს მომავალში, თავიანთ მუნიციპალიტეტში გეგმავენ ისეთი ძლიერი ადგილობრივი ჯგუფის შექმნას, რომელიც თიანეთის როგორც ტურისტული პოტენციალის გაზრდას, ასევე მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

ინგა შიოლაშვილი

საინფორმაციო კამპანია – მკერდის კიბოს სკრინინგი

ქართული ოცნების ქალთა ორგანიზაციის კახეთის რეგიონული საბჭოს წევრები „ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიის ფარგლებში განაგრძობენ საინფორმაციო შეხვედრებს რეგიონში მცხოვრებ ქალებთან და გოგონებთან.

ამჯერად, კამპანიის ფარგლებში შეხვედრები შედგა სიღნაღსა და დედოფლისწყაროში. შეხვედრების მიზანი იყო მოზარდი გოგონების ჩართვა და ინფორმირება რისკების შესახებ. 26 ოქტომბერს შეხვედრები შედგა სოფელ ნუკრიანში (სიღნაღი) და სოფელ ზემო ქედში (დედოფლისწყარო) საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივებთან საჯარო სკოლის შენობაში გაიმართა, რომელსაც დარგის სპეციალისტები ესწრებოდნენ და დიალოგის რეჟიმში წარიმართა.

„კამპანიის ფარგლებში საინტერესო პრეზენტაციით სოფ. ნუკრიანის პირველი საჯარო სკოლის მე-9 და მე-10 კლასელი გოგონებიც შემოგვიერთდნენ,“ - აღნიშნავს შეხვედრის ორგანიზატორი თინათინ ხანჯალიაშვილი.

შეხვედრისას ხაზი გაესვა დროული სკრინინგის მნიშვნელობას - ძუძუს კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა 50%-ით ზრდის სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობას

ძუძუს კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა 50%-ით ზრდის სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობას

სკრინინგი უფასოა და შეგიძლიათ მიაკითხოთ შემდეგ მისამართს: კახეთი - ქალაქი გურჯაანი, რუსთაველის ქუჩა 22 ტელ: **032 220 35 35**

40-დან 70 წლის ჩათვლით - ძუძუს კიბოს სკრინინგი

25-დან 60 წლის ჩათვლით - საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი

12 საპრიზო ადგილი — საქართველოს ჩემპიონატიდან

13-16 ოქტომბერს თბილისი კიკბოქსინგში საქართველოს 29-ე ჩემპიონატს მასპინძლობდა, სადაც მონაწილეობა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის გუნდმა მიიღო. მათ შორის წარმოდგენილი იყო დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონი“, რომელმაც 12 საპრიზო ადგილი მოიპოვა: 2 ოქრო, 7 ვერცხლი და 3 ბრინჯაოს მედალი. ჩემპიონები გახდნენ: სოსო ჯავახიშვილი 48 კგ; ლაშა ჭუბაბრია - 51 კგ.

მეორე ადგილის მფლობელები გახდნენ: სალომე ქოქიაშვილი, ლუკა ჩაჩანიძე, ლუკა ტუმასიანი, ბექა ნაროზაული, ილია ხატიაშვილი, მიხეილ ბაღდასარიანი, საბა ალბაიათი, ხოლო მესამე ადგილი ნიკა თარალაშვილმა, მიკოლა დენისენკომ და გიორგი ქადაგიშვილმა დაიკავეს.

სოსო ჯავახიშვილი **(საქართველოს ჩემპიონი):** „დიდი ხანი არ არის, რაც ვარჯიში და სპორტული ცხოვრება აქტიურად დავიწყე, მაგრამ ამის მიუხედავად, სპორტის ამ სახეობამ ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა. კიკბოქსი იმიტომ ავირჩიე, რომ, ჩემი აზრით, ყველაზე ლამაზი სპორტია სხვა სახეობებს შორის. საქართველოს ჩემპიონატზე, რომელშიც დედოფლისწყაროს სახელით ვმონაწილეობდი, შემხვდა აჭარელი მეტოქე გაბრიელ ალელიშვილი. საკმაოდ კარგი შედეგი ვაჩვენე და მარტივად მოვიგე. ყველანაირად მჯეროდა საკუთარი თავის და დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემპიონატი ჩემი მოგებით დამთავრდებოდა. ვფიქრობ, საკმაო გამოცდილება ჰქონდა ჩემს მეტოქეს, რადგან მისმა მწვრთნელმა საჭიროდ ჩათვალა მისი საქართველოს ჩემპიონატზე გამოყვანა. ვერ მოიგო ჩემპიონატი, მაგრამ კარგი გამოცდილება მიიღო. იოლად დავძლიე, რადგან მან დაინახა, რომ ფიზიკურად ძალიან კარგად ვიყავი მომზადებული. შევამჩნიე, რომ რინგზე ამოსვლის და ასპარეზობის ეშინოდა. მიზნად მქონდა, რომ საქართველოს ჩემპიონატი მომეგო. ჩემი შემდეგი მიზანი მსოფლიო ჩემპიონატის მოგებაა. ამჯერად, მსოფლიო ჩემპიონატის მოგების გარდა, არანაირი ოცნება არ მაქვს. ცხოვრებაში მინდა, წარმატებული ბიზნესმენი ვიყო. მსურს, მომავალი თაობა და არამარტო მოზარდები, დაკავდნენ სპორტული ცხოვრებით. მინდა მივაწვდინო ხმა ყველას, რომ იცხოვრონ ჯანმრთელად და დაისახონ მიზნები. თუ ირწმუნებ, ამ შემთხვევაში ყველაფერი გამოვა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მიზნის მისაღწევად. სამწუხაროდ, დღეს სხვა რეალობაა. ჩემი აზრით, გართობა, დალევა და მოწევა უფრო მოდურია, ვიდრე ჯანსაღი ცხოვრება. ზოგადად ასეა, მავნე ჩვევები ჩვენში კარგს ყოველთვის გადაწონის ხოლმე. უბრალოდ, მირჩევნია დაკავებული ვიყო რაიმე სპორტის სახეობით, ვიდრე ჩემი ცხოვრების წლები ფუჭად გართობაში დავხარჯო. მქონია ინტერესი, მაგრამ როცა ვარჯიში დავიწყე, დამავიწყდა, რომ მავნე ჩვევებიც არსებობს. 11-12 წლის ბავშვებიც კი ეწევიან, იმის ნაცვლად, რომ დარბაზში იარონ. ეს უკვე მშობლების ბრალია, არ აქცევენ შვილებს სათანადო ყურადღებას და არც შვილებს აქვთ მშობლისადმი პატივისცემა“.

ლაშა ჭუბაბრია **(საქართველოს ჩემპიონი):** „რამდენიმე წელია რაც აქტიურად ვარ ჩართული სპორტულ ცხოვრებაში. ვმონაწილეობდი სხვადასხვა ჩემპიონატზე და უმეტესობა წარმატებით დავასრულე. საქართველოს ჩემპიონატზე ჩემი მეტოქე იყო გოგა გოგიტიძე, რომელიც მონაწილეობას იღებდა აჭარის გუნდის სახელით. მეტოქე პირველივე რაუნდში ნოკაუტით დავამარცხე და გამარჯვება მოვიპოვე. ბევრს ვვარჯიშობდი, რომ ვყოფილიყავი საუკეთესო ფორმაში და მომეგო საქართველოს ჩემპიონატი. ჩემს წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელს თამაზ ყარაგვეზაშვილს, რისთვისაც ძალიან დიდ მადლობას ვუხდი. ასევე ჩემს გუნდელებს და მშობლებს, რომლებიც ყოველთვის ჩემს გვერდით არიან და იზიარებენ ჩემს სიხარულს. ჩემი მიზანია, უფრო მეტი გავაკეთო, მოვიპოვო გამარჯვება სხვადასხვა ტურნირზე საზღვარგარეთ და ვასახელო ჩემი ქვეყანა, რაიონი, მწვრთნელი და საყვარელი ადამიანები. ძალიან სამწუხაროა, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა არ ცხოვრობს ჯანსაღი ცხოვრების წესით. მინდა ვიყო მათთვის მაგალითი და მივცე მეტი მოტივაცია, რომ იყვნენ წარმატებულები სპორტშიც, სწავლაშიც და სხვა ბევრ კარგ საქმეში“.

თამაზ ყარაგვეზაშვილი **(მწვრთნელი):** „ყოველწლიურად უფრო რთული ხდება ქვეყნის მთავარ შეჯიბრზე კარგი შედეგის მიღწევა, რადგან იზრდება სპორტსმენთა მომზადების ტექნიკური დონე. ეს ყველა გუნდს ეხება და მსჯეფსთვისაც რთულდება საუკეთესოს გამოვლენა. ეს, რა თქმა უნდა, განვითარებისთვის კარგია, რადგან სპორტის ეს სახეობა გასულ წელს ოლიმპიურ ოჯახში გააწევრიანეს. მას 2028 წელს ამერიკაში, ლოს-ანჯელესში ოფიციალურად ვნახავთ ძიუდოს, ძალოსნებისა და სხვა სახეობების გვერდით. იქამდე კი მსოფლიოს ყველა ქვეყნის კიკბოქსინგის ეროვნულ ფედერაციებს დიდი სამუშაოს ჩატარება მოუწევთ, ახალი სტრუქტურის, ბაზების თუ ნაკრებების ჩამოყალიბებაში.



საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა, რომელსაც შედეგებით საპატიო ადგილი უკავია მსოფლიო ჩემპიონატებზე. სასიხარულოა, რომ ამ მიღწევებში დედოფლისწყაროელი სპორტსმენების დიდი შრომაა ჩადებული და საქართველოში ჩვენი მუნიციპალიტეტი ლიდერია მსოფლიო ჩემპიონატზე მიღებული მედლებით.

კიკბოქსინგის ოლიმპიურ სახეობად გამოცხადებას სპორტსმენთა მომზადების დონის გაზრდა მოჰყვა, შესაბამისად, დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონი“-ს ახალგაზრდული ნაკრებიც ფორმირდება. ჩვენმა სპორტსმენებმა ტრადიციულად ამ შეჯიბრზეც გაგვაოცეს საკუთარი შემართებით და ბრძოლისუნარიანობით.

ჩვენი გუნდიდან გამოვარჩევდი შემდეგ სპორტსმენებს: ლაშა ჭუბაბრიას, რომელიც საქართველოს ჩემპიონი გახდა. ის 51 კგ. კატეგორიაში ლიდერობს. გამოირჩევა საუკეთესო ტექნიკით. ლაშა სკოლაშიც საუკეთესო მოსწავლეა და ვამაყობთ მისი ჩვენს გუნდში ყოფნით. ძალიან კარგად იასპარეზა სოსო ჯავახიშვილმა 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში. სოსო სისწრაფით და ლამაზი ტექნიკით გამოირჩევა.

რაც შეეხება გუნდის პირველ ნომრებს: ბექა ნაროზაულს, ლუკა ტუმასიანს, ილია ხატიაშვილს, ლუკა წიკლაურს, ნამდვილად გამახარეს მიცემული დავალებების პირნათლად შესრულებით. მომავალში მეტი წარმატების იმედი მაქვს ნიკა თარალაშვილის, ლუკა ზურიკაშვილისა და საბა ალ-ბაიათის. ისინი გამოცდილებას იძენენ და თავს არ ზოგავენ, ამიტომაც, მეტს იმსახურებენ და მჯერა, მეტად წარმატებულნი იქნებიან.

მცირე ასაკობრივ ჯგუფში გამოირჩევიან ლუკა ჩაჩანიძე და გიორგი ქადაგიშვილი. ორივემ საპრიზო ადგილი აიღო. ასევე, კარგად იასპარეზა მიკოლა დენისენკომ და ბრინჯაოს მედალი ღირსეულად დაისაკუთრა. როგორც მწვრთნელი, ვიტყოდი, რომ სავარჯიშო ბაზის არსებობის შემთხვევაში მეტის გაკეთებას შევძლებდით. ამჟამად, პირობების არქონა გუნდზე ცუდად აისახა. წინა წლებში, საქართველოში, ასე თუ ისე, ყველა თითქმის თანაბარ პირობებში ვარჯიშობდა და შეჯიბრზეც თანაბარი ძალით ვიბრძოდით. ახლა უკვე ბევრი გუნდი სპორტული ინვენტარით კარგად აღჭურვილ დარბაზში ვარჯიშობს, გადიან სპეციალურ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას. ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერ არ გვაქვს სათანადო პირობები. თუმცა, როგორც ყველამ ვიცით, რაიონში კიკბოქსინგის დარბაზის მშენებლობა მალე დაიწყება. როცა შევძლებთ ახალ ბაზაზე ვარჯიშს, ცხადია, შედეგიც სხვა გვექნება. ახალი დარბაზი, ალბათ, ჩვენი სახლი გახდება, სადაც ერთად „ვიცხოვრებთ“ და ვივარჯიშებთ. ამისთვის დიდი მადლობა პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს და ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, იმისთვის, რომ გუნდის არსებობისთვის ძალზე საჭირო საკითხი გადაწყდება და ახალ ბაზაზე არაერთი ნიჭიერი თაობის გაზრდას შევძლებთ.

ოქტომბრიდან დავიწყეთ ახალი ბავშვების მიღება. ყველაზე კარგი ასაკი კიკბოქსინგის ვარჯიშისთვის 10-12 წელია. ამ ასაკში ბავშვს გააზრებული აქვს, რომელი სპორტის სახეობა იზიდავს, ამავდროულად, მწვრთნელის დავალებებსაც შეგნებულად ასრულებს. ამ თაობაში უკვე ის მოზარდები მოიყრიან თავს, რომლებიც ახალ დარბაზში სრული დატვირთვით შეძლებენ მომზადებას. ამიტომ, მშობლებს მოვუწოდებ, აქტიურად ჩართონ ბავშვები სპორტულ სექციებში, იზრუნონ მათ გაკაჟებაზე და ჯანმრთელი ცხოვრების წესით აღზრდაზე.

რაც შეეხება გოგონების ჩართულობას, დედოფლისწყაროს გუნდი ყოველთვის გამოირჩეოდა კიკბოქსინგში გოგონების სიმრავლით. ამ ეტაპზე ვერ ვიტყვი, რომ კვლავ ასეა, თუმცა, ისევ ვარჯიშობენ, მაგრამ არა ისეთივე ჩართულობით. შემოდგომაზე უმრავლესობა რთველში მუშაობდა, დაღლილები ბრუნდებოდნენ და ვარჯიშის ხარისხიც დაეკა. ეს ეხება გოგონებსაც და ბიჭებსაც. სამუშაოები სრულდება და იმედია, ყველაფერი სპორტულ კალაპოტში ჩადგება.

ილია მარტყოფლიშვილი

გიორგი სარდალაშვილი — აბუ-დაბის გრანდ სლემის ჩემპიონი

აბუ-დაბიში 21 ოქტომბერს სტარტი აიღო გრანდ სლემმა ძიუდოში. ტურნირზე გამომსვლელი ხუთი ქართველი ძიუდოისტიდან სამი ფინალურ ბლოკში მოხვდა.

სამთაწყაროელი 19 წლის გიორგი სარდალაშვილი (60კგ) ტურნირის ფინალში ტაივანის წარმომადგენელ იანგს შეხვდა. ქართველმა ძიუდოისტმა წონის პირველი ნომერი ულამაზესი გდებით დაამარცხა და კარიერაში ამ დონის ტურნირი პირველად მოიგო. სარდალაშვილმა გზად ებრაელი **მატან კოკოლაევი,** ფრანგი **მაქსიმ მერლინი,** თურქი **სალიჰ ილდიზი** და აზერბაიჯანელი **ბალაბაი აღაიევი** ჩამოიტოვა. ოქროს მედლისთვის ბრძოლაში კი იუნგ ვეის ვაზარით სძლია.

შეგახსენებთ, რომ გიორგი სარდალაშვილს ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ 2021 წელს ამომავალი ვარსკვლავის წოდება მიანიჭა.

„ბედნიერი დღე იყო ჩემთვის, ყველა შეხვედრა გამორჩეული იყო, რადგან საკმაოდ ძლიერი მეტოქეები შემხვდა. ვფიქრობ, სათანადოდ შევაფასე მეტოქეების დონე და შესაბამისად ვიმოქმედე, მაქსიმალურად გამოვიყენე ჩემი შესაძლებლობები. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვემზადებოდი ამ დღისთვის. დიდი მადლობა მწვრთნელებს, ჩემს ოჯახს, ექიმებს და ძიუდოს ფედერაციას.

ყველაზე მთავარი, რაც მინდა გითხრათ, არის ის, რომ ეს მედალი ეძღვნება ჩემს სოფელს - სამთაწყაროს! მინდა, მსოფლიომ გაიცნოს ეს სოფელი, სადაც ცხოვრება ჩემი აზრით ძალიან საპასუხისმგებლო და საამაყოა,“ – აღნიშნა გიორგი სარდალაშვილმა „შირაქთან“.

ორი ოქრო, ორიც ვერცხლი

დასრულდა დედოფლისწყაროს უშუს გუნდის სპორტსმენების ბრძოლები მარტვილში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრზე, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონების და ასევე სომხეთის სპორტსმენები იღებენ მონაწილეობას. დედოფლისწყაროდან 4 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას, საიდანაც 2 პირველი ადგილი აიღეს და ჩემპიონები გახდნენ: ნიკოლოზ ხარაზიშვილი და თამაზ ღვინიაშვილი. მეორე ადგილები დაიკავეს გიორგი წიკლაურმა და დავით ბუაძემ.

„1 წელიც არ გასულა, რაც დავით ბუაძემ ჩვენს გუნდში დაიწყო ვარჯიში და უკვე საუკეთესოდ ასპარეზობს. მართალია ფინალური ბრძოლა ქულათა მცირე სხვაობით დათმო, მაგრამ საუკეთესო მომზადება აჩვენა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის დავით ქირიას მოწონება დაიმსახურა. სამგზის მსოფლიო ჩემპიონმა დავით ქირიამ დააჯილდოვა ჩვენი სპორტსმენი თამაზ ღვინიაშვილი ფინალურ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, რაც ბავშვებისთვის დიდი მოტივაცია აღმოჩნდა. ამ ლამაზ ღონისძიებაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დროშა ორჯერ ამაყად აფრიალდა,“ – უთხრა „შირაქს“ დედოფლისწყაროს უშუს გუნდის მწვრთნელმა გიორგი ცისკარაულმა.

თამაზ ღვინიაშვილი **(ჩემპიონი):** „დედოფლისწყაროს უშუს გუნდის წევრი - მოგეხსენებათ 22-23 ოქტომბერს მარტვილის რაიონში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი, სადაც ჩვენი გუნდიც იღებდა მონაწილეობას. მომინია შეხვედრა თბილისელ საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან. ბედნიერი ვარ, რომ ბრძოლა ჩემი გამარჯვებით დასრულდა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას გვერდში დგომისთვის, განსაკუთრებით კი ჩემს მწვრთნელს და მეგობარს გიორგი ცისკარაულს, რომელიც თავ დაუზოგავად ზრუნავს ჩვენზე“

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

მაზლისშვილები: ნაირა, ციხელო, გულნარა, მანანა, თამილა გორაშვილები, ლეილა სულაშვილი ოჯახებით იუწყებიან

ნორა გენაშვილ-ღორაშვილის

გარდაცვალებას და თანაგძნობას უცხადებენ ანგელინა ღორაშვილის და თამარ პოპიაშვილის ოჯახებს დედის და დედამთილის გარდაცვალების გამო.

ტრადიციული ხელსაქმის ოსტატი ქვემო ქედიდან

ტრადიციების შენარჩუნებაზე დღეს ახალი თაობა მედარეებით ნაკლებად ზრუნავს, იშვიათია ახალგაზრდა, რომელიც მივიწყებული კუთხური ტრადიციების აღდგენა-გადარჩენაზე ფიქრობს. თითქოს, აღარც ხელსაქმეა მოდური, ამიტომაც, დასაფასებელია ქვემო ქედელი გოგონას ენთუზიაზმი, რომელიც ქარგვით და ქსოვით ბავშვობიდან დაინტერესდა.

ანა წიკლაური: „სიმართლე გითხრათ, არც მახსოვს ეს საქმე როდის დავიწყე. დაახლოებით 4-5 წლის ასაკში დედა მე და ჩემს ძმებს ტანსაცმელს გვიქსოვდა და ყოველთვის ვცდილობდი, ქსოვის დროს მის გვერდით ვყოფილიყავი. ყურადღებით ვაკვირდებოდი, მაგრამ მოგეხსენებათ ამ ასაკში კარგად ვერ მოვქსოვდი. ნელ-ნელა უფრო ვხვეწდი, შემდეგ გავიგე, რომ ჩემი გარდაცვლილი ბებო ხალიჩებს და ფარდაგებს ქსოვდა, ამიტომ უფრო მეტი ინტერესი გამიჩნდა, ფარდაგების ქსოვაც მესწავლა და შემეცნო ძველებური ორნამენტები და ტრადიციები. ასევე, ძალიან დამაინტერესა ძაფის ბუნებრივი საღებავებით შეღებვის პროცესმა. ძალიან მინდოდა ბებოს ხელსაქმე გამეგრძლებინა და შემდეგ ეს ყველაფერი ჩემი შვილებისთვის გადამეცა. დღეს ალბათ ერთი-ორი თუ მოიძებნება საქართველოში, ვინც ტრადიციულ ორნამენტებს მიჰყვება და ქსოვს. ჩვენს სოფლებში ძირითადად მთის ხალხი ცხოვრობს, გუდამაყრელები, მთიულები, ფშავლები, ხევსურები. ძველად მთაში თითქმის ყველა ქალბატონი ქსოვდა და ხელსაქმეს მიჰყვებოდა, ნაქსოვ ნივთებს კი ძმებს, ქმრებს ატანდნენ ომში, ან მინდორში. ამ ტრადიციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, დღეს სამწუხაროდ იშვიათად თუ ქსოვენ და ქარგავენ, აღარავინ ანიჭებს უპირატესობას ხელით დამზადებულ ნივთებს. ასეა ჩვენს სოფლებშიც, დღევანდელი თაობა, მიუხედავად იმისა, რომ მთის ხალხია, თითქმის აღარავინ ქსოვს, ერთი-ორი ასაკოვანი ადამიანი თუ შემორჩა, ვინც ქსოვა და ხელსაქმე იცის. ალბათ ინოვაციური ტექნოლოგიების ბრალია, ყველას ურჩევნია „მზა ქარხნული“ იყიდოს, ვიდრე თავისი ხელით შექმნას. ვფიქრობ, ყველა ქალბატონმა, მით უმეტეს, მთის შვილმა უნდა იცოდეს ხელსაქმე და არ მიეცეს დავიწყებას ის უნიკალური ორნამენტები და ფერთა შეხამება, რითაც მთიელი ხალხი ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე 488-422 წლებში იყო განთქმული.



– გამოფენებშიც იღებ მონაწილეობას...

– სკოლიდანვე დავდიოდი გამოფენებზე, აქტიურად ვმონაწილეობდი და ნივთებს ვყიდდი. ასე ალბათ 7-8 წლის წინ, ძალიან მიყვარდა ქსოვა და ქარგვა, შესაბამისად ბევრ ნივთს ვამზადებდი სხვადასხვა მასალისგან. სიძვირის გამო ოჯახს ყოველთვის არ ჰქონდა საშუალება, რომ საჭირო მასალა გვეყიდა, ამიტომ გადავწყვიტე ჩემი დამზადებული ნივთები გამეყიდა და მცირე ბიზნესი დამეწყო, რითაც მასალასაც მოვიმარაგებდი და მცირე შემოსავალიც მექნებოდა. შემდეგ ოჯახი დამეხმარა და საკერავი მანქანა მიყიდა, რითაც მეტი სტიმული მომეცა და ვცდილობდი, ჩემი ნამუშევრები უფრო მეტი ადამიანისთვის გამეცნო.

– მივიწყებული ორნამენტების მოძიებასა და ათვისებას როგორ ახერხებდი?

– თავდაპირველად, რაც დედას ბებიისგან ახსოვდა, იმ ორნამენტებს ვიყენებდი, შემდეგ მეზობელ მოხუცებს ვეკითხებოდი და ბევრი რამ მათგან ვისწავლე. ზოგიც გუდამაყრელი ბებოებისგან შევისწავლე. ამას გარდა, ცოდნის გასაღრმავებლად დედოფლისწყაროში სახელოსნო „ფესვებში“ ნინო ბახუტაშვილთან ვიარე, რათა ფარდაგების ტექნოლოგია ამეთვისებინა. იქ მართლაც ბევრი რამ ვისწავლე.

პირველი გამოფენა ქვემო ქედის სკოლაში მქონდა, მეორე მთაწმინდის პარკში, შემდეგ თბილისობაზეც მქონდა ნამუშევრები გატანილი. რამდენიმე თვის წინ უნივერსიტეტი დავამთავრე და ქვემო ქედში დავბრუნდი. მუდმივად აქ ვაპირებ ცხოვრებას ჩემი ოჯახით. ჯერ ჯერობთ დიასახლისი ვარ, პატარა ბავშვი მყავს და არ მინდა მუშაობის გამო ყურადღება მოვაკლო ან რაიმე დეტალი გამოვტოვო, რაც მას ეხება. პროფესიით ტურიზმის ბაკალავრიატი დავამთავრე და სამომავლოდ, ალბათ, ტურიზმის სფეროში გავაგრძელებ მუშაობას. ჩემს ჰობს ვუკავშირებ რატომღაც, მიყვარს ადამიანებთან კონტაქტი და განსაკუთრებული სიამაყით ვაცნობ ტურისტებს ქართულ ტრადიციებს. დიდ გამოცდილებას ვიღებ გამოფენებით, უცხო ადამიანები ყოველთვის იმას ამბობენ, რასაც სინამდვილეში ფიქრობენ და თამამად აფასებენ ნამუშევრებს. ცხადია, სხვადასხვა ადამიანის აზრების გათვალისწინებით იქმნება ჩემი შემდეგი ნამუშევრები და ერწყმის ტრადიციული თანამედროვე სტილს. ფესტივალებზე ასევე საშუალება გვეძლევა შემოქმედებითმა ადამიანებმა ერთმანეთი გავიცნოთ და გამოცდილება გავუზიაროთ. გავიცანი ადამიანებიც, რომლებიც ჩემს მსგავსად ტრადიციულ რეწვას მიჰყვებიან, ან სხვა მიმართულებით აქვთ ნამუშევრები, ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო.

უამრავი სახის ნივთს ვამზადებ: ჩანთები, კალათები, ყაჯარები, ქუდები, სამკაულები და ა.შ. ყველაზე მეტად კი ქარგვა მიყვარს. როცა ხევსურულ ორნამენტებზე ვმუშაობ, ამ დროს ყველაზე უფრო კომფორტულად ვარ. ქარგვის დროს ვმშვიდდები, შეიძლება ითქვას, ქარგვა ჩემთვის საუკეთესო რელაქსი და „დამამშვიდებელი წამალია“, არ აქვს მნიშვნელობა რა გამოდის ნაქარგისგან, მთავარია ვქარგავდე. ისე მამშვიდებს ფერთა გამა და მისი საოცარი ორნამენტების დატანა ქსოვილზე, ჩემთვის ქარგვის გარეშე ყოფნა უბრალოდ წარმოუდგენელია. არც ერთი დღე არ გასულა ისე, ერთი ორნამენტი მაინც არ მომექარგოს. თითოეულ ორნამენტში და უჯრაში მთელი ჩემი ფიქრები, სიხარული, წარმატება და დარდი დევს. ნაქარგები ყველა დეტალს და წვრილმანს იზიარებენ ჩემი ცხოვრებიდან.

– რამდენად მოთხოვნადია ასეთი ნაწარმი და კმაყოფილი ხარ თუ არა შემოსავალით?

-ფინანსებზე არასდროს ვყოფილვარ ორიენტირებული. თუმცა, მთავარია ამ საქმით საკმარისი თანხა ყოველთვის მაქვს და სხვაზე არ ვარ დამოკიდებული. უფრო რომ მოვინდომო, ალბათ, მეტი შემოსავალი მექნება, მაგრამ პროცესი მსიამოვნებს და ნივთის სწრაფად დასრულებას არასოდეს ვჩქარობ. ყოველთვის ვცდილობ, ნელა და ხარისხიანად დავამზადო. შესაბამისად, დროც ბევრი მიმდის და ბევრ ნივთს ვერ ვქმნი.

-გისურვებთ წარმატებას.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

თაკო გოგილაშვილს და ოთარ ნასრაშვილს!

თაკო და ოთარ, გილოცავთ დაქორწინებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებებს, აკვანთა სიმრავლეს და ყველაფერს საუკეთესოს, რადგან თქვენ ამას იმსახურებთ.

სოფელ სამრეკლოს ბაგა-ბაღის თანამშრომლები და დირექტორი, მაკა ზურაშვილი

ულოცავენ!

გოგიტა და მარიამ მეხრიშვილებს!

გოგიტა და მარიამ, ჩვენო ძვირფასებო, გილოცავთ უფროსი შვილის **ნინოს** გაბედნიერებას. **ნინოსა და დავითს** ვუსურვებთ ულევ სიხარულს, სიყვარულს, მტკიცე ოჯახის შექმნასა და აკვანთა სიმრავლეს.

ზაზა და ლალი ყანჩაშვილები ოჯახით

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 31.10		სამშაბათი 01.11		ოთხშაბათი 02.11		ხუთშაბათი 03.11		პარასკევი 04.11		შაბათი 05.11		კვირა 06.11	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	17°	5°	15°	3°	13°	3°	13°	3°	13°	3°	13°	3°	12°	3°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი